წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №4

ქ. წყალტუბო 11 მარტი, 2022 წელი

2022 წლის 11მარტს, 14:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - კობა გურეშიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - სერგო კირკიტაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი დოლიძე;

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: მაკა ჭელიძე, არჩილ ღიბრაძე, რევაზ დიდავა, შალვა კილაძე, ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციების თავმჯდომარეები: გიორგი ფაჩუაშვილი, მამუკა საღარეიშვილი;

საკრებულოს წევრები: ნაილი ჭოლაძე, ომარ სინაურიძე, ჯეირან ომანაძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, ვასილ მხეცაძე, მამუკა ჩხეტიანი, ირინე ცაავა, იასონ ბზიკაძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, ვეფხვია ბანძელაძე, თენგიზ გოგელია, სოფიო ბოლქვაძე, რუსუდან მანაგაძე, ზურაბ იოსელიანი, როინ როხვაძე, ნოდარ ასათიანი.

სხდომას არ ესწრებოდნენ : ვლადიმერ ხურცია, ლატავრა ბენდელიანი,დავით ხიდეშელი, ზურაბ ლექვინაძე, სალომე ჯიმშელეიშვილი,ხათუნა მაღლაკელიძე, ავთანდილ მხეიძე, დევი დოლაბერიძე, ნინო ჭეიშვილი, ფიქრია ერემეიშვილი, ავთანდილ გაბუნია, გალაქტიონ ხარაბაძე /რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის/.

სხდომას ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ფატი გაგოშიძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი-მარეხ კანკაძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირანდა მამისეიშვილი, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- აპარატის უფროსი - გელა თათარაშვილი, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საორგანიზაციო, საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ალექსანდრე დადუნაშვილი, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი - მაია ბერაძე, საკრებულოს

აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ირინა ჩაკვეტაძე და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/ მომხს: მაკა ჭელიძე/

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

/მომხ: რევაზ დიდავა/

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

/მომხ: რევაზ დიდავა/

4..წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე , ადმინისტრაციული შენობის (საკ. კოდი №29.10.37.366) მეორე სართულზე განთავსებული 12.96 კვ.მ.(ერთი ოთახი) ფართის სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე ოფისის განსათავსებლად, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, 5(ხუთი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა/

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:
მომხრე-27
წინააღმდეგი -0
დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის

ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: მამუკა საღარეიშვილმა დასვა შეკითხვა: პროექტს რატომ არ ახლავს ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც ახსნილი იქნებოდა თუ რატომ ცხადდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №39 დადგენილება ძალადაკარგულად?

დასმულ შეკითხვას უპასუხა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მირანდა მამისეიშვილიმა. მან აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველოს კოდექსის შესაბამისად 2015 წლის 29 მაისის №39 დადგენილება ძალადაკარგულად იმიტომ ცხადდება,რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხას მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. აუდიტმა აღნიშნა, რომ სარეზერვო ფონდიდან დახმარებები გაცემულია სოციალური პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმების გვერდის ავლით. კერძოდ,თანხის გამოყოფის საფუძველია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის მიზნით შექმნილი დროებითი კომისიის გადაწყვეტილებები, თანხის ოდენობას კომისია ადგენდა საკუთარი შეხედულელებისამებრ. ამდენად, კრიტერიუმების არარსებობის პირობებში არ არის დასაბუთებული, როგორ და რის საფუძველზე განისაზღვრებოდა დახმარების ოდენობა.აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს თანხების სამართლიან და ეფექტიან განაწილებას და ზრდის სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე-27

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

2. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა წარმოდგენილი პროექტი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-27

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

3. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა წარმოდგენილი პროექტი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-27

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

4. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე , ადმინისტრაციული შენობის (საკ. კოდი №29.10.37.366) მეორე სართულზე განთავსებული 12.96 კვ.მ.(ერთი ოთახი) ფართის სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე ოფისის განსათავსებლად, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის

წესით, იჯარის უფლებით, 5(ხუთი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა წარმოდგენილი პროექტი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 27

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე , ადმინისტრაციული შენობის (საკ. კოდი №29.10.37.366) მეორე სართულზე განთავსებული 12.96 კვ.მ.(ერთი ოთახი) ფართის სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე ოფისის განსათავსებლად, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, 5(ხუთი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო,
საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების ნონა ტაბიძე
მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი